ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7274624

ნომერი: AR11064718

თარიღი : 04.11.2024

გაცემის თარიღი : 04.11.2024

გაცნობის თარიღი : 04.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავჭალის ქუჩა, N 7გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ტაბატაძე პ/ნ 56001003859
- გვაზაურის მე-2 გასასვლელი 46ა

ორგანიზაცია:
- შპს "ოსტატი" კოდი: 011939013030

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 4 ნოემბერს №AR11064718 განცხადებით მომართა დავით ტაბატაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებით, №72.12.06.162 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 31 ოქტომბრიდან 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკსა და შეთანხმებულ ბრძანებაში დაფიქსირებული მშენებლობის განხორციელების მე-7 ეტაპები შეუსაბამოა ერთმანეთთან, კერძოდ, შეთანხმებული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მე-7 ეტაპი არასრულად არის დაფიქსირებული.

სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 15 აგვისტოს №7268872 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის განხორციელების მე-7 ეტაპი არის: „შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; 11-დან 13 ღერძამდე 0.00 ნიშნულიდან +3.00 ნიშნულამდე რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობა“, თუმცა, აღნიშნული ეტაპი, შეთანხმებული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, არასრულად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მე-7 ეტაპი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7) „შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; 11-დან 13 ღერძამდე 0.00 ნიშნულიდან +3.00 ნიშნულამდე რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობა.“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 31 ოქტომბრის №7268872 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.